

**წლიური ანგარიში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ**

პროგრამული კოდი - 34 00

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

**სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:** იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა;

**1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:** იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა, (34 01).

**პროგრამის განმახორციელებელი:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი, ტერიტორიული ორგანოები.

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა (ათას ლარებში)	წლიური დაზუსტებული მოცულობა (ათას ლარებში)	წლიური საკასო შესრულება (ათას ლარებში)	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებული გეგმასთან მიმართებაში
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5 850.0	8 065.0	7 999.9	99.2%

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- „ჩემი სახლი“-ს ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მოხდა დევნილთა უძრავის ქონების დეკლარაციების შევსება, შევსებულ დეკლარაციაში ჩამატებების შეტანა იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა უძრავი

- ქონების კოსმოსურ სურათებზე აღრიცხვა და იდენტიფიკაცია (მესაკუთრეთა ინდენტიფიკაცია, რომლებიც დროებით ვეღარ აკონტროლებენ უძრავ ქონებას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად);
- საანგარიშო წელს სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის მოძიებული და შეძენილი იქნა საცხოვრებელი სახლები;
  - „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შექმნილი „მობილურობის ცენტრი“ „მიგრანტთა საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრებთან“ მჭიდრო თანამშრომლობით ანხორციელებდა დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციას და ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში;
  - „რეპატრიაციის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რეპატრიაციის სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების განხილვა;
  - განხორციელდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების განხილვა.

#### **დასახული საბოლოო შედეგები:**

- ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით დევნილთა, ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებელთა, რეპატრიანტთა მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაციისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნა და სოციალური დაცვა;
- დევნილი მოსახლეობის თვითკმარობის გაზრდა, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირება-აღმოფხვრა და უკიდურესად გაჭირვებული, დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება საერთო კრიტერიუმების საფუძველზე;
- რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების სისტემატიზაცია, ანალიზი და განხილვა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;
- არალეგალური მიგრაციის პრევენცია, დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობის გაზრდა;
- რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის მქონე დევნილების გამოკვეთა, აღნიშნული ქონების შემდგომი პრივატიზაციის პროცესის მოსამზადებლად;
- ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

## მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საანგარიშო პერიოდში შევსებულია დევნილთა უძრავის ქონების 197 დეკლარაცია. მოხდა 2 962 შევსებულ დეკლარაციაში ჩამატებების შეტანა, ასევე დევნილთა ქონებრივი დეკლარაციების ბაზაში გადამოწმდა 13 934 დეკლარაცია. დაზუსტდა სტატუსთან და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროში გამოცხადებული 3 850 დევნილის ქონებრივი დეკლარაცია, მათ შორის: ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან - 216, ხოლო აფხაზეთის ა/რ -დან - 3 634.
- იმისათვის, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების წინასწარი რეგისტრაცია კერძო მესაკუთრეებზე შეცდომით არ განხორციელდეს, მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების იდენტიფიკაცია. ერედვის, ქურთის, ახალგორის და თილვის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა აეროფოტო სურათებზე ობიექტების ამოცნობა და გეოსაინფორმაციო ბაზაში ასახვა. ასევე მიმდინარეობს ქალაქებისა და რაიონების საკადასტრო ბაზის ფორმირება, რაც მოიცავს ყველა საკადასტრო ობიექტის (გზები, ქუჩები, ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, ჰიდროგრაფიული ობიექტები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ტყის ფონდი) დიგიტალიზაციას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. ოჩამჩირის ქუჩების, გზების და სხვა ობიექტების ამოცნობა, ამჟამად მიმდინარეობს მათი ელექტრონულ ბაზაში ასახვა.
- მობილურობის ცენტრმა მომსახურება გაუწია 384 დაბრუნებულ მიგრანტს. მათ შორის: 165-მდე ბენეფიციარს გაეწია კონსულტაცია საქართველოში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, 135 ბენეფიციარმა გაიარა პროფესიული გადამზადების ტრენინგი, 70 ბენეფიციარმა გაიარა ტრენინგი ბიზნეს გეგმის შემუშავების შესახებ, 7 ბენეფიციარს გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება, პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 16 ბიზნეს პროექტი, პროექტის ფარგლებში დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იყო 4 ბენეფიციარი. 26-27 მარტს ბაზალეთში სამინისტროს „მიგრანტთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი“-სა და ევროკავშირის პროექტის „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსათვის“ ორგანიზებით გაიმართა სემინარი თემაზე შრომითი მიგრაცია პოლონეთსა და საფრანგეთში. შეხვედრას ესწრებოდნენ ქ. ბათუმის, გორის, დუშეთის, მცხეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. მიმდინარე წლის 13 ივნისს ქ. გორში სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა საინფორმაციო სახის შეხვედრა სტუდენტებთან და პროფესორ მასწავლებლებთან, სადაც სამინისტროს და გორის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებმა ისაუბრეს მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესახებ, ასევე პრეზენტაციის სახით სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია მიგრანტთა საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის საქმიანობის და სამინისტროში არსებული ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის შესახებ რომელიც ეხება ევროკავშირის

- ქვეყნიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციას. სამინისტროში მიმდინარე პროექტის „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“ და სამინისტროს „მიგრანტთა საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის“ მიერ ჩატარდა ერთობლივი შეხვედრა წეროვანში ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობასთან, თემაზე (შრომითი მიგრაცია ევროკავშირში და არალეგალური მიგრაციის საფრთხეები). 9 ოქტომბერს „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“ და სამინისტროს „მიგრანტთა საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად ჩატარდა ერთობლივი შეხვედრა თბილისში სასტუმრო თორიში დევნილ მოსახლეობასთან თემაზე „შრომითი მიგრაცია ევროკავშირში და არალეგალური მიგრაციის საფრთხეები“. 13-14 ნოემბერს თბილისში სასტუმრო „შერატონში, „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“ და სამინისტროს „მიგრანტთა საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის“ თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარეს სემინარი სხვადასხვა უწყებების თანამშრომლებისთვის თემაზე „შრომის ბაზრის მართვა: შრომის ბაზრის სფეროში მოქმედი ინსტიტუციების ქმედითუნარიანობის გაზრდა“.
- სანგარიშო პერიოდში სამინისტროში განსახილველად შემოვიდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მამიებელთა 717 აპლიკაცია. 2013 წელს დასრულდა წინა წლის მეორე ნახევარში შემოსული აპლიკაციების განხილვა, რის შედეგადაც ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა 47 პირს, ხოლო 16 პირს მიენიჭა ლტოვილის სტატუსი, საიდანაც 4 პირს შეუწყდა ლტოვილის სტატუსი.
  - მარტყოფში განთავსებულ თავშესაფრის მამიებელთა მიმღებ ცენტრში განხორციელდა ობიექტის დაცვის მომსახურების შესყიდვა და დაფინანსდა ცენტრის კომუნალური ხარჯები. ასევე თავშესაფრის მამიებელთა საქმეების განხილვის უზრუნველსაყოფად განხორციელდა თარჯიმნის მომსახურების შესყიდვა.
  - ეკომიგრანტთათვის შეძენილ იქნა 33 საცხოვრებელი სახლი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

**1.2 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:** განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, (34 02).

**პროგრამის განმახორციელებელი:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	42 150.0	41 935.0	39 263.1	93.6%

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- ობიექტებზე ჩატარდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო, სამშენებლო-სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ოჯახებს გადაეცათ კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ბინები;
- კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს დაუფინანსდათ კომუნალური ხარჯები;
- ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში განხორციელდა 2013 წლის 1 ნოემბრამდე მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების დავალიანების ანაზღაურება.
- იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიოთ ფულადი დახმარება.
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, განხორციელდა კომპაქტურად განსახლების ობიექტების გამოსყიდვა.
- რეაბილიტირებულ ობიექტებში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების დასრულებამდე განხორციელდა ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა;

**დასახული საბოლოო შედეგები:**

- „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ორგანიზება და დევნილთათვის საცხოვრებელი პირობების შექმნა-გაუმჯობესება.
- საქართველოში იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური რეინტეგრაცია;
- სავალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია;

- კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში დევნილთა რაოდენობის დაზუსტება და მათთვის კომუნალური (ელექტროენერჯის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ასენიზაციის, დასუფთავების, დეზინფექციის და დერატიზაციის) და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება.
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობებების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია.

#### მიღწეული საბოლოო შედეგები:

- კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს დაუფინანსდათ კომუნალური ხარჯები. ფულადი დახმარება გაეწია 1 811 დევნილ ოჯახს. ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #49-ში მდებარე კომპაქტურად განსახლების ობიექტის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებულ 26 ოჯახს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან და უკიდურესად გაჭირვებულ 160 ოჯახს საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით, გაეწიათ ფინანსური დახმარება (ყოველთვიურად ოჯახზე 100-დან 300 ლარამდე).
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 001 სარეიტინგო ქულაზე ნაკლების მქონე 23 000 დევნილ ოჯახს გადაეცათ ელექტრონული ბარათები, რომელზეც ჯამურად დარიცხული იყო 200 ლარის ლიმიტი, 2013-2014 წლების სამთრის სეზონში ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურებისათვის, ხოლო 70 დევნილ ოჯახს, რომლებიც ცხოვრობენ მკაცრი ზამთრის ადგილებში გაეწიათ ფინანსური დახმარება სათბობი შეშის შესაძენად.
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში მიმდინარეობს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი, რომლის ფარგლებში აღწერა ჩატარდა 128-ობიექტში, აღწერილ იქნა 2 404 ოჯახი. დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემაზე პრეზიდენტის განკარგულებისთვის მასალები მომზადდა და გადაიგზავნა 1 871 ოჯახზე. საკუთრებაში ბინები გადაეცა 921 ოჯახს.
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობებების რეაბილიტაცია და გადაყვანილ იქნა 1 267 დევნილი ოჯახი თბილისში, რუსთავეში, თეთრიწყაროში, მარნეულში, ხაშურში, გორში, ქარელში, ქუთაისში, სამტრედიისში, ვანში, ტყიბულში, თერჯოლაში, ზესტაფონში, წყალტუბოში, ბათუმში და ფოთში.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 50 დევნილი ოჯახისათვის ინდივიდუალური სახლების შექმნა.
- განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 4 კოლექტიური ობიექტის გამოსყიდვა - სულ 199 ბინა.
- დევნილთა ორგანიზებული ჩასახლების ობიექტებში განხორციელდა შემდეგი სახის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები: სახურავის შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 20 ობიექტს, ხოლო წყალკანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 9 ობიექტზე. 1 - ობიექტზე განხორციელდა ხანძრით გამოწვეული დაზიანებული შენობის შიდა ფართების სარეაბილიტაციო სამუშაოები. სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 19 ობიექტს ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით.
- 2013 წლის განმავლობაში ტენდერი გამოცხადდა 52 ობიექტზე სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით:
  - ✓ რეაბილიტაცია ჩატარდა 15 ობიექტს - ქ. თბილისი, ბაბუციძის N12 (1სართული და 3 სართულის ნაწილი), ქ. ქუთაისში ჭავჭავაძის გამზ. N58 (მანსარდები), ქ. რუსთავი, ფალიაშვილის ქუჩა N18, ყვარლის ქუჩა N101, ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. N5, ქ. თბილისი, თემქის მე-3 მკ/რ-ის 4-ე კვარტალი (ყოფ. 142-ე სკოლა), ქ. თბილისი, ლოლობერიძის ქ. N3, ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი N6, ქ. რუსთავი, რუსთაველის ქ. N16, ქ. რუსთავი, მე-12 მ/რ ყოფილი მე-14 ბაგა-ბაღი, ქ. ზუგდიდი, ბერანძის ქ. N5, ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის გამზ. N58, ქ. ბათუმი აფხაზეთის ქუჩა (დევნილთა დასახლების პირველი სართულები), ვაზიანის დასახლება N1 და N4 კორპუსები.
  - ✓ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს 10 ობიექტზე: ქ. რუსთავი, დ. გარეჯის #4ა, ქ. ქუთაისი, ნიკვას ქ. #21, ვაზიანის დასახლება N2,N3,N5,N6 კორპუსები, ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა, ქ. თბილისი, ბაბუციძის N12 (2 სართული და 3 სართული ნაწილი), ქ. თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ (ყოფ. პოლიციის შენობა), ქ. ფოთი, ფიროსმანის ქ. N7.
- 2013 წლის განმავლობაში გამოცხადდა კონკურსი 58 ობიექტის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაპროექტებაზე, ხოლო გადმოცემული მიწის ფართობების (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი) განაშენიანებაზე 6 კონკურსი:
- განხორციელდა 169 მოქმედი კოლექტიური ცენტრის ტექნიკური შეფასება სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით.
- დევნილთათვის საცხოვრებელი კორპუსების აშენების მიზნით, სამინისტროს მიერ მოძიებულია 160 000 კვ/მ მიწის ფართობი ქ. თბილისში, 27 000 კვ/მ ქ. ქუთაისში და 60 000 კვ/მ მიწის ფართობი ქ. ბათუმში. პროექტირება

დასრულებულია 3 მიწის ფართობზე (ქ. თბილისი, ქ. ბათუმი) და მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები ასევე 3 მიწის ფართობზე - ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში.

**მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები\*:**

1. 64 ობიექტს ჩაუტარდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო, სამშენებლო-სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
2. კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა გადაეცა იძულებით გადაადგილებულ პირთა 921 ოჯახს. დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემაზე პრეზიდენტის განკარგულებისთვის მასალები მომზადდა და გადაიგზავნა 1 871 ოჯახზე;
3. გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნა 1 516 ოჯახი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

პროგრამული კოდი - 34 00

მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	დაზუსტებული გეგმის შეფარდება დამტკიცებულ გეგმასთან (%) (4/3)	საკასო შესრულების შეფარდება დაზუსტებულ გეგმასთან (%) (5/4)	განმარტება იმ პროგრამულ კოდეზზე, რომელთა დამტკიცებულ და დაზუსტებულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%	განმარტება იმ პროგრამულ კოდეზზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15%
1	2	3	4	5	6	7	8	9
34 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მთლიანი ასიგნებები	48 000,0	50 000,0	47 263,0	104,2	94,5		
34 01	პროგრამა №1 იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5 850,0	8 065,0	7 999,9	137,9	99,2	დამტკიცებულ და დაზუსტებულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა მირითადად გამოწვეულია იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა რეგისტრაციის (ახალი ნიშუმის მოწმობის გაცემა) პროგრამის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის #794 განკარგულება) განხორციელებით და წლების განმავლობაში საქართველოში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის დონორების განხორციელებით (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #1123 განკარგულება).	
34 02	პროგრამა №2 განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	42 150,0	41 935,0	39 263,1	99,5	93,6		